სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86595239160419

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191429923

რეგისტრაციის თარიღი

25.11.2019 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
ტელეფონი: 0322931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

• ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდახუთ ნოემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს ჩემ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #6, მომმართა შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405160720) დირექტორმა თეთუ ჩარკვიანმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თეთუ ჩარკვიანმა (დაბად.30.01.1976 წელს, პ/ნ 15001000317, პ/მ 13II16984, რეგ. მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13, ბინა 68) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე აგრეთვე შევამოწმე თეთუ ჩარკვიანის უფლებამოსილება. კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405160720) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი:405160720 რეგისტრაციის ნომერი,თარიღი:03/08/2016მარეგისტრირებელიორგანო:სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იურიდიული მისამართი:საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,თამარაშვილის ქ., N 13, სად. 3, სართ. 8, ბ. N 68 დამატებითი ინფორმაცია:ელ. ფოსტა:tetucharkviani@gmail.com

მე, აგრეთვე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, შემდეგ თეთუ ჩარკვიანს წავუკითხე რწმუნებულების ტექსტი, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405160720) დირექტორმა თეთუ ჩარკვიანმა, რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, **ზურაბ ნადირაძეს** (დაბ.08.04.1955წ. პ/ნ 01024017910), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, პროექტის წარდგენასთან, ცვლილების შეტანასთან/კორექტირებასთან, ნებართვის მიღებასთან, ჩაბარებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი, ამონაწერი, ცნობა, მოწმობა, ასლი, ნებართვა, ნახაზი და ინფორმაცია, წარმოების შეჩერების შემთხვევაში, დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს, შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
2. წესდება/პარტნიორთა შეთანხმება.

გადახდილია სანოტარო საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი. 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა თეთუ ჩარკვიანი

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე